

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს მეტეხის ხარამიხა

პერიოდი: 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member



PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	12
1. ძირითადი საქმიანობა	12
2. მომზადების საფუძველი.....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება	13
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები.....	24
5. ძირითადი საშუალებები.....	26
6. გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	27
7. მარაგები	27
8. გაცემული სესხები.....	27
9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	27
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	28
11. ნასესხები სახსრები	28
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	28
13. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	28
14. თვითღირებულების ხარჯები.....	28
15. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	29
16. ადმინისტრაციული ხარჯები	29
17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	29
18. სხვა არასაოპერაციო ხარჯები.....	29
19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები	30
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	32
21. კაპიტალის მართვა	34
22. ფუნქციონირებადი საწარმო	34
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35
24. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება.....	35

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „მეტახის კერამიკა“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში როგორც "ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოაზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 01 ნოემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
დავით კაკაბაძე

01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
ლელია აბუაშვილი

01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შპს „მეტახის კერამიკა“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „მეტახის კერამიკა“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში როგორც "ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 01 ნოემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
დავით კაკაბაძე

01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
ლეილა აბუაშვილი

01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს დამფუძნებლებს და მენეჯმენტს:

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მეტეხის კერამიკა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში “ჯგუფი”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „მეტეხის კერამიკა“-ს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების რაოდენობის სისწორეში, რაც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 1,770,451 და 1,683,547 ლარის ღირებულებებით. ასევე ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯების ნაწილში, რომელიც 2022 წლის განმავლობაში შეადგენდა 3,610,308 ლარს და 2021 წლის განმავლობაში 2,073,750 ლარს. შესაბამისად ვერ შევძელით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე და მასთან დაკავშირებულ რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულების ხარჯებში. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მარაგებთან, რეალიზებულ საქონლისა და მომსახურების თვითღირებულების ხარჯებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 9,296,811 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,146,736 ლარს). 2022 წლის პერიოდის განმავლობაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი შეადგენდა 337,533 ლარს, ხოლო 2021 წლის პერიოდის განმავლობაში კი 312,477 ლარს. 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ბიოლოგიური აქტივების ღირებულების და მასთან შესაბამისი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო, თუ არა

რაიმე კორექტირება ჯგუფის ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულებაში და პერიოდის ცვლისა და ამორტიზაციის ხარჯებში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, არამატერიალურ აქტივებთან, ბიოლოგიურ აქტივებთან, მასთან დაკავშირებულ ცვლისა და ამორტიზაციის ხარჯებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და გაცემული ავანსები 2,642,059 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,115,690 ლარი). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული აქტივის და მასთან დაკავშირებული ანარიცხის დასადასტურებლად.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და მიღებული ავანსები 1,501,781 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 966,581 ლარი). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული აქტივის და მასთან დაკავშირებული ანარიცხის დასადასტურებლად.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა და გადასახდელი მოგების გადასახადი 130,630 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები მოგების გადასახადის გარდა და გადასახდელი მოგების გადასახადი 15,145 ლარის ოდენობით). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული აქტივის დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ნასესხები სახსრები, რომელიც მოიცავს როგორც სესხის ძირითად თანხას, ასევე მის შესაბამის გადასახდელ პროცენტს 6,344,404 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,624,127 ლარი). ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური ხარჯი, რომელიც მოიცავს საპროცენტო ხარჯს 478,268 ლარის ოდენობით (2021 წლის საპროცენტო ხარჯი 222,351 ლარი). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული მუხლების დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია გაცემული სესხები, რომელიც მოიცავს როგორც სესხის ძირითად თანხას, ასევე მის შესაბამის მისაღებ პროცენტს 187,738 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 165,965 ლარი). ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური შემოსავალი,

რომელიც მოიცავს საპროცენტო შემოსავალს 17,898 ლარის ოდენობით (2021 წლის საპროცენტო შემოსავალი 17,617 ლარი). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული მუხლების დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებული ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულის ნაშთის სისწორეში, რაც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 868 და 2,725 ლარის ოდენობით. შესაბამისად ვერ შევძელით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ნაღდი ფულის ოდენობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა ნაღდი ფულის ნაშთთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალი 1,999,859 ლარის ოდენობით, საიდანაც 1,749,859 ლარზე ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული მუხლის დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები, 2022 წლის ხარჯები 2,065,764 ლარი, (2021 წლის ხარჯები 1,746,813 ლარი), საიდანაც 2022 წლის ხარჯი 505,799 ლარი (2021 წლის ხარჯი 132,102 ლარი), მოცემულ თანხებზე ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული თანხების დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით.

ჯგუფის მიერ წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მოიცავდეს მშობელი კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესადარის პერიოდებთან ერთად. ჩვენ ვერ შევძელით გაცნობიერებით შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს, შესაბამისად ვერ შევძელით იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტებთან მიმართებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუსხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პაუსხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-22 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა ზარალმა შეადგინა (517,269) ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჰქონდა მოგება 67,544 ლარი. როგორც მე-22 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აღნიშნული ზარალი წინა წელთან შედარებით გამოიწვია ბუნებრივი აირის, მასალებისა და საწვავის ფასის ზრდამ. ასევე 2022 წელს კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი და აღნიშნულმაც გაზარდა ხარჯები. 2023 წელს კომპანიამ წინა წელთან შედარებით გაზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და შესაბამისად შემცირდა თვითღირებულების ხარჯები, ასევე გაზარდა ერთეულის გასაყიდი ფასი. აღნიშნული გულისხმობს რომ კომპანია შემდგომ პერიოდში საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება ჯგუფი. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მეტეხის კერამიკა“-ს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული აუდიტი არის პირველი კომპანიისათვის და შესაბამისად, ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები რომლებიც გავლენას ახდენს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელი ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვუპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის და ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

- დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის და ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განესაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
მმართველი პარტნიორი
2023 წლის 01 ნოემბერი



თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	9,255,636	8,103,344	7,469,086
ბიოლოგიური აქტივები		27,474	27,474	27,474
არამატერიალური აქტივები		13,701	15,918	18,134
გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	6	1,094,575	1,094,575	1,094,520
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,391,386	9,241,311	8,609,214
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	1,770,451	1,683,547	1,019,595
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		-	15,179	8,611
გაცემული სესხები	8	187,738	165,965	134,341
გაცემული ავანსები		2,413,088	1,814,110	1,617
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	228,971	301,580	23,979
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	167,885	69,023	57,424
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,768,133	4,049,404	1,245,567
სულ აქტივები		15,159,519	13,290,715	9,854,781
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,999,859	1,999,859	2,484,382
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		5,182,845	5,700,114	5,632,570
სულ კაპიტალი		7,182,704	7,699,973	8,116,952
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	4,551,568	3,645,350	1,005,992
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	10,877
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,551,568	3,645,350	1,016,869
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	1,792,836	978,777	530,330
გადასახდელი მოგების გადასახადი		34	34	360
გადასახდელი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		130,596	-	-
მიღებული ავანსები		538,580	309,611	135,288
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	963,201	656,970	54,982
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,425,247	1,945,392	720,960
სულ ვალდებულებები		7,976,815	5,590,742	1,737,829
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,159,519	13,290,715	9,854,781

დირექტორი
დავით კაკაბაძე
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
ლეილა აბუაშვილი
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

დირექტორი
დავით კაკაბაძე
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
ლელია აბუაშვილი
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან თვითღირებულების ხარჯები	13 14	5,424,580 (3,610,308)	4,012,426 (2,073,750)
საერთო მოგება		1,814,272	1,938,676
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	277,050	155,950
სხვა საოპერაციო ხარჯები		(81,843)	(38,323)
რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები		(99,048)	(120,701)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,848,986)	(1,677,346)
საოპერაციო მოგება		61,445	258,256
ფინანსური შემოსავალი		17,898	17,617
ფინანსური ხარჯები		(478,268)	(222,351)
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)		(16,500)	(9,793)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	33,091	55,713
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(134,935)	(31,144)
მოგება დაბეგვრამდე		(517,269)	68,298
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(754)
წმინდა მოგება		(517,269)	67,544

დირექტორი
დავით კაკაბაძე
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
ლეილა აბუაშვილი
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	13	5,424,580	4,012,426
თვითღირებულების ხარჯები	14	(3,610,308)	(2,073,750)
საერთო მოგება		1,814,272	1,938,676
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	277,050	155,950
სხვა საოპერაციო ხარჯები		(81,843)	(38,323)
რეკლამის და დისტრიბუციის ხარჯები		(99,048)	(120,701)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,848,986)	(1,677,346)
საოპერაციო მოგება		61,445	258,256
ფინანსური შემოსავალი		17,898	17,617
ფინანსური ხარჯები		(478,268)	(222,351)
წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი)		(16,500)	(9,793)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	33,091	55,713
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(134,935)	(31,144)
მოგება დაბეგვრამდე		(517,269)	68,298
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(754)
წმინდა მოგება		(517,269)	67,544

დირექტორი
დავით კავაზაძე
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



ფინანსური დირექტორი
ლელია აბუაშვილი
01 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,632,570	2,484,382	8,116,952
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	67,544	-	67,544
კაპიტალის შემცირება	-	(484,523)	(484,523)
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	67,544	(484,523)	(416,979)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,700,114	1,999,859	7,699,973
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(517,269)	-	(517,269)
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	(517,269)	-	(517,269)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,182,845	1,999,859	7,182,704

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	(517,269)	67,544
კორექტირებები:		
ცვეთა	335,317	310,261
ამორტიზაცია	-	2,216
მოგების გადასახადი	2,216	-
საპროცენტო შემოსავალი	(17,898)	(17,617)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	16,500	9,793
საპროცენტო ხარჯი	467,577	222,351
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	286,443	594,548
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	72,609	(277,601)
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(3,875)	(15,424)
ცვლილება მარაგებში	(86,904)	(663,952)
ცვლილებები წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	15,179	(6,568)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	(598,978)	(1,812,493)
ცვლილებები გადასახდელ წმინდა გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა	130,596	-
ცვლილებები სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში	-	(10,877)
ცვლილებები გადასახდელი მოგების გადასახადში	-	(326)
ცვლილებები სხვა გრძელვადიან აქტივებში	-	-
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	228,969	174,323
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	306,231	594,940
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	350,270	(1,423,430)
გადახდილი პროცენტი	(310,386)	(161,870)
მიღებული პროცენტი	-	1,418
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	39,884	(1,583,882)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,499,434)	(961,654)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	11,825	17,135
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	-	(55)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,487,609)	(944,574)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება მიღებული სესხებიდან	2,664,129	4,409,941
მიღებული სესხების დაფარვა	(1,101,042)	(1,382,618)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	-	(484,523)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	1,563,087	2,542,800
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	115,362	14,344
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(16,500)	(2,745)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	69,023	57,424
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	167,885	69,023

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „მეტეხის კერამიკა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1997 წლის 28 იანვარს. მარეგისტრირებელი ორგანო კასპის რაიონის სასამართლო. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 232539107, იურიდიული მისამართი – საქართველო, კასპის რაიონი, სოფ. მეტეხი. კომპანია დარეგისტრირებულია დღეის გადამხდელად.

კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ბ და ნ ინვესტ (ს/კ 404636499). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის – ნატა კაკაბაძე (პ/ნ 01024020814 - ორმაგი მოქალაქე/ საქართველო, რუსეთის ფედერაცია), რომელიც ფლობს შპს ბ და ნ ინვესტ(ს/კ 404636499)-ის 100%-იან წილს. შპს ბ და ნ ინვესტი(ს/კ 404636499) დაფუძნდა 2022 წლის 26 აპრილს, და პარტნიორის ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 18 აგვისტოს, ხოლო აღნიშნულის ცვლილებამდე შპს მეტეხის კერამიკას 100%-იანი წილის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბ & ნ, (ს/კ 204506472), რომლის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნატა კაკაბაძე (პ/ნ 01024020814 - ორმაგი მოქალაქე/ საქართველო, რუსეთის ფედერაცია). 2022 წლის 09 დეკემბერს მოხდა რეორგანიზაცია და შპს ბ & ნ (ს/კ 204506472) და შერწყმის შედეგად გახდა შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ს/კ 202057219), რომლის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის ნატა კაკაბაძე (პ/ნ 01024020814 - ორმაგი მოქალაქე/ საქართველო, რუსეთის ფედერაცია).

კომპანიის დირექტორია დავით კაკაბაძე (პ/ნ 65002012448).

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოების მშობელ კომპანიას:

- შპს „ახალი მეტეხი-აი ჯი“ საიდენტიფიკაციო კოდი - 232550049 , რეგისტრირებული 29.08.2005წ. იურიდიულ მისამართზე - საქართველო, კასპის რაიონი, სად.მეტეხი . დირექტორი - რამაზ გიორგაძე პ.ნ. 01015003887, წილობრივი მონაწილეობა - 100%.
- შპს „მეტეხი ვაინი“ საიდენტიფიკაციო კოდი - 232559576, რეგისტრირებული 30.04.2008წ. იურიდიულ მისამართზე - საქართველო, კასპის რაიონი, სოფ. მეტეხი. დირექტორი - დავით კაკაბაძე პ.ნ 65002012448, წილობრივი მონაწილეობა - 100%.

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს კერამიკული აგურების წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფასს 1- პირველად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირველადი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. კომპანიის ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჭვლელების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040	4.0233

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულებს) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე წილების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	წილობრივი მონაწილეობა, %	საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის ნომერი, თარიღი
შპს „ახალი მეტეხი—აი ჯი“	100%	232550049	29.08.2005
შპს „მეტეხი ვაინი“	100%	232559576	30.04.2008

ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში არსებულ შვილობილ კომპანიებში

ის ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში, რომლებსაც არ მოჰყვება შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვა აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქციები. ჯგუფის ინტერესებისა და არამაკონტროლებელი ინტერესების საბალანსო ღირებულებები იცვლება შვილობილ კომპანიების მიერ მათი ფარდობითი ინტერესების მიხედვით. ნებისმიერი განსხვავება, რომლითაც არამაკონტროლებელი წილი იცვლება და გადახდილი ან მიღებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია უშუალოდ კაპიტალში და მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს.

როცა კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა i) მიღებული კომპენსაციის და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებების ჯამურ თანხასა და ii) კონტროლის დაკარგვამდე არსებული შვილობილის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას და არაკონტროლირებად წილს შორის. ყველა თანხა აღიარებულია შვილობილთან დაკავშირებით ადრე, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება/ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი მსს ფასს-ის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით).

კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება ჩაითვლება შემდგომში როგორც, სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ბასს 39-ის მიხედვით ინვესტიციის შემდგომ პერიოდებში აღრიცხვისათვის, როცა რელევანტურია, ღირებულებად ინვესტიციის ასოცირებულ კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოში.

ასოცირებული პირები

ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი. ასოცირებულ კომპანიებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება საბუღალტრო კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით. ასოცირებული კომპანიებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს ასოცირებულ პირებში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. ასოცირებული პირის წმინდა აქტივებში მომხდარი შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები ჯგუფის წილში აღიარებულია შემდეგნაირად: (1) ასოცირებული კომპანიის მოგება-ზარალის ჯგუფის წილი ასახულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავალში როგორც ასოცირებული კომპანიის წილი. (2) სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის წილი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და ცალკე არის წარმოდგენილი. (3) ასოცირებული კომპანიების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება ჯგუფის წილში აღიარებულია მოგება-ზარალში ასოცირებულ კომპანიების შედეგების შესაბამისი წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც ასოცირებული კომპანიის ზარალი უტოლდება ან აღემატება ჯგუფის წილის პროცენტს ასოცირებულ კომპანიაში, რომელშიც შედის ნებისმიერი სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, ჯგუფი არ აღიარებს მასზე მეტ ზარალს, იმ შემთხვევაში თუკი ჯგუფს არ დაუფარავს ვალდებულებები ან არ განახორციელა გადახდა ასოცირებული კომპანიის ნაცვლად.

ჯგუფსა და ასოცირებულ კომპანიას შორის განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამოწვეული არარეალიზებული მოგება ბათილდება იმდენად, რამდენიც არის ჯგუფის პროცენტი ასოცირებულ კომპანიაში; არარეალიზებული ზარალი ასევე ბათილდება იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და ბიოლოგიური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. მომსახურების ვადები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები - 300 თვე - 600 თვე
- მანქანა-დანადგარები - 120 თვე - 360 თვე
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 120 თვე - 360 თვე
- სატრანსპორტო საშუალებები - 180 თვე - 360 თვე

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიების მომსახურების ვადა არის 132 თვე.

ბიოლოგიური აქტივები

კომპანია აღრიცხვას ბიოლოგიურ აქტივებს თვითღირებულებით, რადგან თვლის რომ შეუძლებელია თავისი ბიოლოგიური აქტივებისთვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისად მათი აღრიცხვა სამართლიანი ღირებულებით.

გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და

საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრება შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, შვილობილ საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შემენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში ჯგუფის წილს. ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია ჯგუფის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, ჯგუფი ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის წილის მთლიანი თანხა ნაჩვენებია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარეთ და ის წარმოადგენს მოგებას ან ზარალს გადასახადით დაბეგვრის შემდეგ და არასაკონტროლო წილს მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში.

მეკავშირე საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია ჯგუფის ანგარიშგებაში. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკების ჯგუფის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში არსებულ ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, ჯგუფი ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ მოგებაში ან ზარალში აღიარებს ზარალს მეკავშირე საწარმოს მოგების წილში.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებასა და აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის შემოსავლის სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ ჯგუფი მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა ჯგუფის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები კონსოლიდირებულ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამოზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამოზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული ფინანსური აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენას ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში.

თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე და ნაღდ ფულს სალაროში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გაცემული ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) ჯგუფი გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) ჯგუფი მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) ჯგუფი განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ჯგუფი ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გაცემული ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გაცემული ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გაცემული ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გაცემული ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია ჯგუფის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო ჯგუფის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლოს რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის

დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფი ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწვდიან ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31.12.2020	121,292	4,508	4,892,762	103,976	3,270,024	512,003	8,904,565
შემოსვლა	88,000	680,727	79,892	25,750	15,485	71,800	961,654
გასვლა	-	-	-	-	(3,732)	(22,847)	(26,579)
ბალანსი 31.12.2021	209,292	685,235	4,972,654	129,726	3,281,777	560,956	9,839,640
შემოსვლა	-	394,195	574,808	14,313	336,988	179,130	1,499,434
გასვლა	-	-	-	-	(6,299)	(8,714)	(15,013)
ბალანსი 31.12.2022	209,292	1,079,430	5,547,462	144,039	3,612,466	731,372	11,324,061
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება							
ბალანსი 31.12.2020	-	-	(484,470)	(33,363)	(826,594)	(91,052)	(1,435,479)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(132,145)	(9,003)	(152,767)	(16,346)	(310,261)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	342	9,102	9,444
ბალანსი 31.12.2021	-	-	(616,615)	(42,366)	(979,019)	(98,296)	(1,736,296)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(144,442)	(11,283)	(158,923)	(20,669)	(335,317)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	3,188	3,188
ბალანსი 31.12.2022	-	-	(761,057)	(53,649)	(1,137,942)	(115,777)	(2,068,425)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 31.12.2020	121,292	4,508	4,408,292	70,613	2,443,430	420,951	7,469,086
ბალანსი 31.12.2021	209,292	685,235	4,356,039	87,360	2,302,758	462,660	8,103,344
ბალანსი 31.12.2022	209,292	1,079,430	4,786,405	90,390	2,474,524	615,595	9,255,636

6. გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში

გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შპს ახალი მეტეხი-აი ჯი	593,900	593,900	593,900
შპს მეტეხი ვაინი	500,675	500,675	500,620
სულ გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	1,094,575	1,094,575	1,094,520

7. მარაგები

მარაგები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	1,237,788	1,307,801	700,515
ნედლეული და მასალები	235,482	201,543	186,368
სხვა მარაგები	188,008	154,149	119,459
დაუმთავრებელი წარმოება	109,173	20,054	13,253
სულ მარაგები	1,770,451	1,683,547	1,019,595

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხი - შპს ბგნ	64,819	64,819	64,819
გაცემული სესხი - ფ/პ ბადრი კაკაბაძე	29,369	29,369	29,369
გაცემული სესხი - შპს სანატორიუმი წყალტუბო	18,202	18,202	18,202
გაცემული სესხი - შპს მეტეხი ვაინი	8,204	8,204	-
გაცემული სესხი - შპს ბდკ ლოჯისტიკს	7,220	7,220	-
გაცემული სესხი - ფ/პ დავით კაკაბაძე	5,837	5,837	5,837
გაცემული სესხი - შპს ბალნეო სარეაბილიტაციო ცენტრი	5,500	5,500	5,500
გაცემული სესხი - ფ/პ ალექსანდრე ნეფარიძე	3,875	-	-
მისაღები პროცენტი - შპს ბგნ	21,511	13,458	5,405
მისაღები პროცენტი - ფ/პ ბადრი კაკაბაძე	10,512	6,381	2,563
მისაღები პროცენტი - შპს სანატორიუმი წყალტუბო	6,744	4,220	1,695
მისაღები პროცენტი - შპს ბალნეო სარეაბილიტაციო ცენტრი	1,910	1,195	480
მისაღები პროცენტი - ფ/პ დავით კაკაბაძე	1,872	1,171	471
მისაღები პროცენტი - შპს ბდკ ლოჯისტიკს	1,196	243	-
მისაღები პროცენტი - შპს მეტეხი ვაინი	967	146	-
სულ გაცემული სესხები	187,738	165,965	134,341

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	228,791	301,515	23,979
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	180	65	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	228,971	301,580	23,979

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ლარები საბანკო ანგარიშებზე	167,017	65,026	17,622
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	1,272	39,153
ნაღდი ფული სალაროში	868	2,725	649
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	167,885	69,023	57,424

11. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიღებული გრძელვადიანი სესხები	4,551,568	3,645,350	1,005,992
გრძელვადიანი ვალდებულებები	4,551,568	3,645,350	1,005,992
მიღებული მოკლევადიანი სესხები	776,421	401,441	498,000
პარტნიორებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები	766,413	484,523	-
გადასახდელი პროცენტი	250,002	92,813	32,330
მიმდინარე ვალდებულებები	1,792,836	978,777	530,330
სულ ნასესხები სახსრები	6,344,404	4,624,127	1,536,322

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	831,437	575,875	10,972
გადასახდელი ხელფასები	131,704	81,025	43,942
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	60	70	68
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	963,201	656,970	54,982

13. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	2022 წელი	2021 წელი
კერამიკული აგური	3,197,433	3,091,685
კერამობლოკი	1,927,248	845,947
კერამოტიხარი	299,899	74,794
სულ შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	5,424,580	4,012,426

14. თვითღირებულების ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
კერამობლოკის თვითღირებულების ხარჯები	1,816,548	652,608
კერამიკული აგურის თვითღირებულების ხარჯები	1,519,903	1,361,488
კერამოტიხარის თვითღირებულების ხარჯები	273,778	59,603
სხვა თვითღირებულების ხარჯები	79	51
სულ თვითღირებულების ხარჯები	3,610,308	2,073,750

15. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი	2022 წელი	2021 წელი
პროდუქციის ტრანსპორტირებიდან მიღებული შემოსავალი	138,586	67,712
შეძენილი მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	94,786	44,461
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	43,678	43,777
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	277,050	155,950

16. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
ხელფასის ხარჯები	785,912	735,982
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯები	337,533	312,477
სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების ხარჯები	174,717	98,163
მასალის ხარჯები	174,180	156,690
საპენსიო ხარჯები	127,120	13,845
მომსახურების ხარჯები	110,490	94,623
საწვავის ხარჯები	65,692	43,410
კომუნალური ხარჯები	39,039	72,449
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	21,434	19,974
ბანკის ხარჯები	6,578	11,960
კომუნიკაციის ხარჯები	3,014	3,879
საოფისე ხარჯები	2,355	2,436
დაზღვევის ხარჯები	915	1,843
საგადასახადო ხარჯები	7	6,762
რემონტის ხარჯები	-	32,829
ტრენინგის და სწავლების ხარჯები	-	1,200
იჯარის ხარჯები	-	68,824
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,848,986	1,677,346

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2022 წელი	2021 წელი
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	25,166	19,336
სადაზღვევი კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურება	2,870	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5,055	10,374
საშემოსავლო გადასახადის შეღავათის დარიცხვა	-	26,003
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	33,091	55,713

18. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
საქველმოქმედო ხარჯები	118,110	13,823
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	11,825	17,134
ჯარიმისა და საურავების ხარჯები	5,000	187
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	134,935	31,144

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

ჯგუფს 2022 წელს ჰქონდა შემდეგი სასამართლო დავები:

შპს მეტეხის კერამიკასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ერთი სამართალწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის ფარგლებშიც მეტეხის კერამიკა იყო მოპასუხე.

1.1. 2022 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შპს მეტეხის კერამიკას წინააღმდეგ მიმდინარეობდა სამოქალაქო საქმის წარმოება დელიქტური ვალდებულებისგან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

1.2. დავა ეხებოდა დელიქტური ვალდებულების საფუძველზე ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, შპს მეტეხის კერამიკას კუთვნილი ავტომობილით გადაადგილდებოდა ამავე კომპანიის დასაქმებული, რა დროსაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით დაეჯახა ფიზიკური პირის ავტომობილს, რომელიც დაზღვეული იყო სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მიერ. შემდგომში სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და უშუალო ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის გარდა თანამოპასუხედ განსაზღვრა შპს მეტეხის კერამიკა.

1.3. სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა დაახლოებით 11 000 ლარამდე თანხას.

გირავნობა

შპს მეტეხის კერამიკა-ს გირავნობა/ლიზინგი: მოძრავ ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869

მესაკუთრე : შპს მეტეხის კერამიკა (საქართველო) 232539107

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების 4-ლი მუხლის

4.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : გირავნობის ხელშეკრულების 4-ლი მუხლის 4.1.1

ქვეპუნქტით განსაზღვრული არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, CAP000530136

შპს მეტეხის კერამიკა-ს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა:

საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება

საფუძველი: შეტყობინება, N0521757, 16.06.2023, შემოსავლების სამსახური

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში

არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფის მნიშვნელოვანი ფიქსირებული აქტივები დაზღვეულია სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2020	დებიტორული დავალიანება	მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	გაცემული სესხები	გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	კრედიტორული დავალიანება	ნასესხები სახსრები
მეკავშირე კომპანიები	39,545	-	136,274	593,900	22,684	597,749
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	5,254	47,589	-	60	432,585
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	39,545	5,254	183,863	593,900	22,744	1,030,334

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2020	დებიტორული დავალიანება	მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	გაცემული სესხები	გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	კრედიტორული დავალიანება	ნასესხები სახსრები
მეკავშირე კომპანიები	3,700	-	123,157	593,900	24,000	635,202
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	-	42,757	-	71	26,531
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	3,700	-	165,914	593,900	24,071	661,733

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2022	შემოსავალი	საიჯარო მომსახურება	საპროცენტო შემოსავალი
მეკავშირე კომპანიები	79,394	101,695	13,066
მეკავშირე პირები	21	-	4,832
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	79,415	101,695	17,898

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2021	შემოსავალი	საიჯარო მომსახურება	საპროცენტო შემოსავალი
მეკავშირე კომპანიები	41,017	61,017	11,682
მეკავშირე პირები	376	-	4,518
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	41,393	61,017	16,200

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2022 წელი	2021 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	8,618	40,193
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	8,618	40,193

21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ჯგუფის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ჯგუფმა დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 1,999,859 ლარი.

22. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ სპეციალური დანიშნულების საფუძვლების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი.

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს ჰქონდა სირთულეები პანდემიის დროს, თუმცა გაართვა თავი და განმეორების შემთხვევაში კომპანიას არ შეექმნება პრობლემები და შეძლებს სრულყოფილად და შეუფერხებლად ფუნქციონირებას.

აღნიშნული ზარალი წინა წელთან შედარებით გამოიწვია ბუნებრივი აირის, მასალების, საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ფასის ზრდამ. ასევე კომპანიაში გაიზარდა სახელფასო ფონდიც. შპს მეტეხის კერამიკას აქვს საბანკო სესხები, რაც 2021 წელთან შედარებით გაზრდილია. აღნიშნული პრობლემა გამომდინარეობს იქიდან რომ ადგილობრივი ბაზარი არ იძლევა საშუალებას რომ გაზარდოს გასაყიდი ფასები, რადგან დიდი კონკურენციაა ბაზარზე და მთავარი კონკურენტი არის ბეტონის ბლოკები რომელსაც გაცილებით დაბალი ფასი აქვს. თუმცა კომპანია უშვებს სამშენებლო ბლოკებს, რომელიც არის თიხისგან დამზადებული, ეკოლოგიურად და სამშენებლო თვისებებით უკეთესი და კომპანიამ ამასთანავე 2022 წელს დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. ამის მიუხედავად 2023 წელს შედარებით გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, რამაც შეამცირა თვითღირებულება და კომპანიამ ასევე გაზარდა გასაყიდი ფასის ღირებულება. კომპანია გეგმავს გადაიარაღებას და ბუნებრივი აირის ჩანაცვლებას ქვანახშირით, რომელიც ხარჯებს საგრძნობლად შეამცირებს, რაც გულისხმობს რომ კომპანიას შემდგომ პერიოდში საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2022 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა, მათ შორის რუსეთ-უკრაინის ომიც.

24. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 01 ნოემბერს.

კომპანიის ზოგადი მიმოხილვა

შპს „მეტეხისკერამიკა“ (შემდგომში „კომპანია“) შექმნილია „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია 1997 წლის 28 იანვარს (ს/კ 232539107, რეგისტრაციის ნომერი 38/5-14). კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი დირექტორია დავით კაკაბაძე. კომპანიის მესაკუთრე არის:

მესაკუთრე	პ/ნ	წილი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ბდან ინვესტ,	404636499	100%

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, კასპის რაიონი, სოფ. მეტეხი . აღნიშნული მისამართი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ადგილს და საკუთრებას.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გამომწვარი თიხისგან დამზადებული აგურების და ბლოკების წარმოება გაყიდვა.

კომპანიის კლიენტები არიან : სხვადასხვა სამშენებლო კომპანიები, რომელთა რიცხვი შედგენს 200- ზე მეტს და ასევე კერძო სექტორი რომელზეც გაყიდვების წილი შეადგენს 24%-ს

კომპანიას ჰყავს ერთი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი დირექტორი და სამეთვალყურეო, სამეთვალყურეო საბჭოში შედის თავმჯდომარე - რამაზ გიორგაძე (პ/ნ: 01015003887) და წევრები: ბადრი კაკაბაძე, (პ/ნ: 65002011581) და დავით მაჭარაშვილი, (პ/ნ: 24001008979).

2022 წლის ბოლოსთვის კომპანიას ჰყავს 131 თანამშრომელი,

ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლების რაოდენობა იყო 125.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლების რაოდენობა იყო 57 .

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 59.

2020 წლის მარტიდან კოვიდ-19 დაკავშირებული პანდემიის გათვალისწინებით კომპანიას დისტანციურად არ უმუშავია.

კომპანია შემოსავალს იღებს შემდეგი ძირითადი წყაროებიდან:

1. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვებიდან
2. გაცემული აქვს ფართი იჯარით და იღებს იჯარის ღირებულებას.

კომპანიაში 2022 საანგარიშგებო წლისთვის არსებობდა შემდეგი გუნდები /მიმართულებები:

1. ტექნიკური მიმართულება:
2. კლიენტებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის მიმართულება:
3. ადმინისტრაცია დაფინანსები
4. იურიდიული განყოფილება.

ტექნიკური მიმართულება პასუხისმგებელია საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების მართვაზე, გამოშვებული პროდუქტების ხარისხზე და სტანდარტთან შესაბამისობაზე, ასევე შრომის უსაფრთხოებაზე.

კლიენტებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის მიმართულება ახორციელებს კლიენტებთან უწყვეტ ურთიერთობას, პასუხისმგებელია გაყიდვებზე, კლიენტებისთვის კონსულტაციის გაწევაზე, პრეზენტაციების ჩატარებაზე. გაყიდვების გაზრდის მიზნით ბაზრის ათვისებაზე.

ადმინისტრაცია და ფინანსები აერთიანებს ოფისის მართვას, კადრებს, ბუღალტერიას, სხვადასხვა დამხმარე საქმიანობას.

იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს კომპანიის ხელშეკრულებების მომზადებას, კომპანიის იურიდიული დოკუმენტაციის წარმოებას, კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა

დასაქმება

კომპანიაში დასაქმებულია 131 ადამიანი. კომპანიას არ ჰყავს დროებითი თანამშრომლები. დასაქმებულთა საშუალო ასაკია 38-50 წელი. დასაქმებულთა 22 % ქალია, ხოლო 78 % - მამაკაცი. წლიური სახელფასო ხარჯის საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 1 607 034,45 ლარს.

2022 საანგარიშგებო წელს კომპანია საკუთარი განცხადებით დატოვა 6-მა დასაქმებულმა და 2021 წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირდა.

კომპანიის განვითარების გეგმები- კომპანია გეგმავს გადაიარაღებას, მოძველებული დანადგარების შეცვლას, მეტი ავტომატიზაციის დანერგვას, წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდის და ასევე ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი რისკები

საქართველოსა და რეგიონში დიდი რისკისა და რყებების წყაროა რუსეთის აგრესიული ომი უკრაინაში.

კომპანია განიცდის პროფესიონალი კადრის სიმცირეს და მაღალი ანაზღაურების მოთხოვნას ხშირად საჭირო რაოდენობით კადრის მოძიება რთულია. კომპანია ცდილობს, ითანამშრომლოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან ამ მიმართულებით და მოიზიდოს ახალგაზრდა კადრები.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები:

ინფორმაციის ტიპი	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები	5 752 619	4 241 706
ხარჯები	6 269 888	4 174 162
მოგება-ზარალი	-517 269	67 544
მთლიანი აქტივები	15 159 519	13 290 715

შპს „მეტეხის კერამიკა“-ს

დირექტორი

დავით კაკაბაძე

ინფორმაციის ტიპი	2022წელი	2021წელი
შემოსავლები	5 752 619	4 241 706
ხარჯები	6 269 888	4 174 162
მოგება-ზარალი	-517 269	67 544
მთლიანიაქტივები	15 159 519	13 290 715

შპს „მეტეხისკერამიკა“-ს

დირექტორი

დავითკაკაბაძე

